ისტორია

II ტური

ინსტრუქცია ***დავალებებისთვის 1-5:*** *თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი სავარაუდო პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. შემოხაზეთ სწორი პასუხი. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

1. ძველ რომაელთა ცხოვრებაში დამკვიდრებულ რომელ წესს უკავშირდება დროის აღრიცხვის სისტემის სახელწოდება - კალენდარი?

I. სამხედრო სამსახურში გაწვევის
II. წმინდა ცეცხლის დანთების
III. სავალო გადასახადის გასტუმრების
IV. გლადიატორთა თამაშების დაწყების

2. ვინ იყო ვულფილა?

I. გოთების ბელადი, რომელმაც თავი მეფედ გამოაცხადა
II. გოთი მწიგნობარი, რომელმაც ბიბლია თარგმნა
III. გოთების სარდალი, რომელმაც რომაელები დაამარცხა
IV. გოთი მემატიანე, რომელმაც პირველი თხზულება დაწერა

3. რამ განაპირობა კონსტანცას საეკლესიო კრების გადაწყვეტილება იან ჰუსის კოცონზე დაწვის შესახებ?

I. ჩეხი სასულიერო პირის მიერ კათოლიკური ეკლესიის კრიტიკამ
II. ბულგარელი მისიონერის მიერ ალბიგოელთა მწვალებლობის ქადაგებამ
III. უნგრელი ეპისკოპოსის მიერ ანტიპაპ კლიმენტი VII-ის მხარდაჭერამ
IV. პოლონელი ბერის მიერ მარტინ ლუთერის მოსაზრებების გაზიარებამ

4. რომელი სახელმწიფოს მმართველები იყვნენ: ველფების, შტაუფენებისა და ჰაბსბურგების დინასტიათა წარმომადგენლები?

I. პრუსიის სამეფოს
II. საღვთო რომის იმპერიის
III. ავსტრია-უნგრეთის სახელმწიფოს
IV. გაერთიანებული გერმანიის იმპერიის

5. რომელი მსჯელობაა მართებული თბილისში, მაჩაბლის ქუჩაზე მდებარე მწერალთა სახლის შესახებ?

I. შენობა თავის დროზე ეკუთვნოდა დავით სარაჯიშვილს. ამ უკანასკნელის გარდაცვალების შემდეგ, კი ის საჯარო ვაჭრობით შეიძინა ცნობილმა მეწარმემ და მეცენატმა აკაკი ხოშტარიამ და საჩუქრად გადასცა ქართულ საზოგადოებას

II. შენობა, თავის დროზე, დავით სარაჯიშვილის მიერ აშენდა ქართული თეატრის დასისთვის. შემდგომში, ის საჯარო ვაჭრობით შეიძინა ცნობილმა მეწარმემ და მეცენატმა მიტროფანე ლაღიძემ და საჩუქრად გადასცა ქართულ საზოგადოებას

III. შენობა თავდაპირველად წარმოადგენდა სათავადაზნაურო ბანკის საკუთრებას, აგებულს ილია ზუბალაშვილის მხარდაჭერით. მოგვიანებით, ის დავით სარაჯიშვილმა იყიდა და საჩუქრად გადასცა ქართულ საზოგადოებას

IV. შენობა აიგო ქართველი მეწარმისა და მეცენატის აკაკი ხოშტარიას ინიციატივითა და სახსრებით. მისი ემიგრაციაში წასვლის შემდეგ კი, ის შეიძინა მიტროფანე ლაღიძემ და საჩუქრად გადასცა ქართულ საზოგადოებას

ინსტრუქცია დავალებებისთვის 6-7: *ქრონოლოგიური პრინციპით დაალაგეთ მოცემული ინფორმაცია. პასუხები დააფიქსირეთ უჯრებში. თითოეული დავალება 1 ქულით ფასდება.*

6. დაალაგეთ ქრონოლოგიურად ქართველ მწერალთა ნაწარმოებები მათში ასახული ეპოქების მიხედვით:

1. ლეო ქიაჩელის „ჰაკი აძბა“
2. მიხეილ ჯავახიშვილის „ლამბალო და ყაშა“
3. გურამ რჩეულიშვილის „ალავერდობა“
4. გრიგოლ რობაქიძის „ჩაკლული სული“

7. დაალაგეთ ქრონოლოგიურად საქართველოში XIX საუკუნეში გამომავალი ჟურნალ-გაზეთები მათი დაარსების დროის მიხედვით:

1. „ივერია“
2. „ტფილისის უწყებანი“
3. „ცისკარი“
4. „საქართველოს მოამბე“

ინსტრუქცია დავალებისთვის 8: *ყურადღებით წაიკითხეთ ქვემოთ მოყვანილი ტექსტი და შეასრულეთ მოცემული დავალება. თითოეული არგუმენტის მაქსიმალური შეფასებაა 1 ქულა.*

დავალება 8.

1990 წლის მარტში დაგეგმილი იყო საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნები. ეროვნულ მოძრაობაში ჩართულ პარტიათა ნაწილი ემზადებოდა არჩევნებისთვის, მეორე ნაწილი კი არჩევნების ბოიკოტს უჭერდა მხარს.

8.1 მოიტანეთ ორი არგუმენტი, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობის მომხრე პოლიტიკოსი საკუთარ გადაწყვეტილებას დაიცავდა.

8.2 მოიტანეთ ორი არგუმენტი, რომლითაც არჩევნებში მონაწილეობის მოწინააღმდეგე საკუთარ მოსაზრებას დაიცავდა.

ინსტრუქცია დავალებებისთვის 9-10: *ერთმანეთს შეუსაბამეთ ორ სვეტში მოცემული ინფორმაცია. თითოეული დავალების მაქსიმალური შეფასებაა 4 ქულა.*

9. დაადგინეთ შესაბამისობა პორტრეტსა და ისტორიულ პირს შორის

	პორტრეტი		**ისტორიული პირი**
A		1	ლეონიდასი
B		2	მითრიდატე VI
C		3	ტიგლათფილესერ I
D		4	დარიოს I
		5	პომპეუსი
		6	პერიკლე

10. დაადგინეთ შესაბამისობა ისტორიულ ფილმსა და იმ სახელმწიფოს შორის, სადაც ფილმის სიუჟეტი ვითარდება

	ისტორიული ფილმი		**სახელმწიფო**
A	ანა და მეფე	1	რომის იმპერია
B	მამაცი გული	2	ბიზანტიის იმპერია
C	აგორა	3	ინგლისის სამეფო
D	მონობის 12 წელი	4	ხანის იმპერია
		5	სიამი
		6	ამერიკის შეერთებული შტატები

ინსტრუქცია დავალებისთვის 11: *ყურადღებით დააკვირდით ფოტოებს და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 3 ქულა.*

11.





(1) **11.1.** რა სახელწოდებითაა ცნობილი მონუმენტი, რომლის აღმართვის პროცესიც ასახული ფოტოებზე?

(2) **11.2.** რა ისტორიულ თარიღს მიეძღვნა ეს მონუმენტი და რომელი ქალაქის ღირშესანიშნაობას წარმოადგენს ის დღეს?

ინსტრუქცია ***დავალებისთვის 12:*** *ყურადღებით წაიკითხეთ დოკუმენტი, გაეცანით მოცემულ რუკას და უპასუხეთ შეკითხვებს. დავალების მაქსიმალური შეფასებაა 18 ქულა.*

12. ყურადღებით წაიკითხეთ დოკუმენტი, გაეცანით რუკას და უპასუხეთ კითხვებს.

„ანდრია შევიდა ქუეყანასა ქართლისასა, რომელსა დიდაჭარა ეწოდების და იწყო ქადაგებად სახარებისა. რამეთუ კაცნი პირუტყუთა უგუნურეს იყვნეს და არა იცნობდეს შემოქმედსა ღმერთსა. და მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინნა ურწმუნოთაგან, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით-კერძო მკჳდრნი მის ქუეყანისანი, და ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა, და ძისათა, და სულისა წმიდისათა, და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი და საზღუარი სარწმუნოებისა და აღაშენეს ეკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულსა მიერ წარსლვა, ევედრებოდეს და არა უტევებდეს წარსლვად, არამედ ეტყოდეს: „უკეთუ შენ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა აქა დაგჳსვენე, სასოდ და მცველად ჩუენდა“. ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა. და მეყუსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ. ხოლო მათ სიხარულით შეიწყნარეს და დაისვენეს ეკლესიასა შინა თჳსსა პატივით.

ხოლო წმიდა მოციქული წარმოემართა და გარდამოვლო მთა, რომელსა ეწოდების რკინის-ჯუარი. შთავლო ხევი ოძრახისა, მოვიდა საზღუართა სამცხისათა და მოიწია აწყვერს. ხოლო მთავრობდა მაშინ მუნ დედაკაცი ვინმე ქურივი სამძივარი, რომელსა ერთი ოდენ ძე ესვა და მას ოდენ ჟამსა მომკუდარ იყო. და იყო ვაება ტირილისა მრავალი. ვითარცა ესმა სიტყუა ესე მკუდართა აღდომისა დედაკაცსა მას, წარავლინნა მონანი თჳსნი მოწოდებად მოციქულისა, რომელი ვითარცა მივიდა, ჰრქუა დედაკაცმან, ვითარმედ: „ვინ ხართ. ანუ სადა მოხვალთ, ანუ რაჲ არს უცხო ეგე მოძღურება“. მიუგო წმიდამან მოციქულმან: „მოვალ წმიდით ქალაქით იერუსალემით, სადა დასდგეს ფერჴნი უფლისანი, გოლგოთას და ბეთლემს, და მონა ვარ და მოციქული უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი, და მას ვექადაგებ ღმერთად და უფლად და მპყრობელად ყოველთა დაბადებულთა“.

ხოლო ვითარცა ესმა ესე დედაკაცსა, დავარდა ქუეყანად და ჰრქუა ცრემლით მოციქულსა: „ილოცე ღმერთისა შენისა მიმართ და მიანიჭე შვილსა ამას ჩემსა სიცოცხლე, და ყოველი რა-ოდენი მიბრძანო, გისმინო, უკეთუ ძე ჩემი აღდგომილი ვიხილო“. ხოლო წმიდამან მოციქულმან მიუგო და ჰრქუა: „უკეთუ გრწმენინ იესო ქრისტე, ძე ღმერთისა, ჭეშმარიტი ღმერთი, რაოდენიცა-რა ითხოვო სარწმუნოებით, ყოველივე მოგეცემის მის მიერ“. ხოლო დედაკაცსა მას ვითარცა ესმა ესე, აღივსო სიხარულითა, და ჰრქუა მოციქულსა მას: „ჰ, მონაო ჭეშმარიტისა ღვთისაო, ჭეშმარიტად მრწამს და აღვიარებ იესო ქრისტესა, რომელსა შენ ქადაგებ, არამედ შეეწიე ურწმუნოებასა ჩემსა“.

ხოლო მოციქულმან ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობელისა დაასვენა ცხედარსა მას ზედა, სადა იდვა ყრმა იგი. და შემდგომად ლოცვისა უპყრა ჴელი ყრმასა მას და, ვითარცა ძილისაგან, ეგრეთ აღადგინა იგი და მისცა დედასა მისსა.

ხოლო იყო ქალაქსა მას შინა ბომონი საკერპო, რომელსა შინა იმსახურებოდეს ბილწნი ღმერთნი მათნი, არტემი და აპოლონ. და ვითარცა იხილეს საქმე ესე მღუდელთა მათ კერპთა სიცრუვისათა, აღივსნეს შურითა და იწყეს წინა-აღმდგომად მოციქულისა.

დაასკუნეს ესე ესრეთ: შეასვენეს ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა შუა კერპთა მათთა და დაბეჭდეს კარსა ზედა, და მცველნი დაადგინნეს და იწყეს ლოცვად მღუდელთა მათ სიცრუვისათა. და წმიდამან ილოცა ქრისტეს მიმართ ჭეშმარიტისა ღვთისა ჩუენისა. და ვითარცა

განთენა და განაღეს კარი საკერპოსა, იხილნეს ყოველნი კერპნი მათნი ქუეყანად დათხეულნი. ხოლო ხატი ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა ბრწყინვიდა, ვითარცა მზე, დიდებითა და პატივითა. მაშინ მღუდელნი იგი კერპთანი აღივსნეს სირცხჳლითა, და უმეცრებისა მათისათჳს შენდობასა ითხოვდეს მოციქულისაგან. და ყოველმან ერმან მადლობისა ხმა აღმოუტევეს.

ხოლო წმიდა მოციქულსა ენება კუალად წარსლვა სხუათაცა ქალაქთა და სოფელთა ქადაგებად სახარება ქრისტესი. ევედრნეს ქურივი იგი დედაკაცი და სრულიად მესხნი, რათა არა განეშოროს მათგან. და ჰრქუეს: „უკეთუ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა აქა დაგჳსვენე სასოდ და მცველად ჩუენდა“ მიუგო მოციქულმან და ჰრქუა, ვითარმედ: „ხატი ესე თჳთ ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისა პირსა ზედა დადებით გამოსახულ არს“. დაასვენეს ყოვლად დიდებული ხატი ყოვლად წმიდისა აწყვერის ღვთის-მშობლისა მცირესა მას ეკუდერსა, რომელსა აწ ძველ-ეკლესიად სახელ-სდებენ.

ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია მოიკითხნა ყოველნი სიმდაბლით და სიყუარულით, მისცა მშჳდობა და წარემართა სხუათაცა ადგილთა ქადაგებად სახარებისა.

წარმოვიდა მუნით დიდებული ანდრია სხუათა მათ თანა მოციქულთა, მოვიდოდეს ქალაქითი-ქალაქად და სოფლითი-სოფლად, ასწავებდეს ერთა და იქმოდეს სასწაულთა, და ესრეთ მიიწივნეს ქუეყანასა ქართლისასა. და მერმე წარვლეს ტაოს კერძი ქუეყანა და ვიდრე მდინარედ ჭოროხადმდე, ყოველი იგი სოფლები მის კერძისა მოვლეს, და დაუცადებელად ქადაგებდეს სახელსა ღვთისასა. და ესრეთ ქადაგებითა მიიწივნეს სვანეთისა ქუეყანასა.

ხოლო მას ქუეყანასა მთავრობდა დღეთა მათ დედაკაცი ვინმე მთავარი, რომელსა ჰრწმენა ქადაგება მოციქულთა. და მატათა სხუათა მათ თანა მოწაფეთა დაშთა მათ კერძოთა. ხოლო დიდი ანდრია სიმონითურთ შევიდა ქუეყანასა ოვსეთისასა, და მიიწია ქალაქად, რომელსა ეწოდებოდა ფოხტაფორი, სადა იგი დიდი სასწაული ქმნეს და მრავალნი ერნი მოაქცივნეს და განანათლნეს, მიერ წარვიდეს და შევიდეს ქუეყანასა აფხაზეთისასა და სევასტე ქალაქად მივიდეს, რომელსა აწ ეწოდება ცხუმი. და უქადაგეს სიტყუა ღვთისა, და მრავალთა შეიწყნარეს.
და მუნ დაუტევა ნეტარმან ანდრია სიმონ სხუათა თანა მოწაფეთა და თავადი ჯიქეთისა ქუეყანად აღვიდა. ხოლო კაცნი მის ქუეყანისანი ჯიქნი იყვნეს კაცნი ფიცხელნი ურწმუნონი და უმღებნი. რომელთა არა შეიწყნარეს ქადაგება მოციქულისა, არამედ ენება მოკლვა მისი. ხოლო მან დაუტევა და წარვიდა. ხოლო სიმონისა საფლავი არს ნიკოპს ქალაქსა, შორის აფხაზეთისა და ჯიქეთისა, რამეთუ მუნ აღესრულა იგი.

ხოლო კუალად განამტკიცნა წმიდამან ანდრია მეგრელნი და აფხაზნი და წარვიდა სკჳთედ...


მთავარი გზები
ანდრია მქადაგებლის გზა
სვიმონ მქადაგებლის საფლავი ძველად (ნიკოფსიაში)
სვიმონ მქადაგებლის საფლავი ამჟამად (ახალი ათონი)
მაგათას საფლავი (აფსარში ანუ გონიოში)
ანდრიას მიერ დაარსებული პირველი ეკლესია დიდაჭარაში
ანდრიას მიერ დაარსებული პირველი საეპისკოპოსო აწყურში
ჯიქნი
ანაკოფია
ბიჭვინთა
ახალი ათონი
სებასტოპოლისი (ცხუმი)
ეგრისი
ეგრისი
ეგრისი

კითხვები:

(1) **12.1.** რომელი საუკუნის მოვლენებია აღწერილი წყაროში?
(1) **12.2.** ვინ იგულისხმება „მღუდელთა მათ სიცრუვისათა“-ში?
(1) **12.3.** დაასახელეთ ტექსტში ნახსენები დანარჩენი მქადაგებლები.
(2) **12.4.** რა ზედწოდებით არის ცნობილი ტექსტში ნახსენები ანდრია და რატომ მიენიჭა მას ეს ზედწოდება?
(2) **12.5.** რომელი ქალაქია დასახელებული სამცხის ცენტრად? თქვენი მოსაზრება დაასაბუთეთ წერილობით წყაროსა და რუკის მიხედვით.
(2) **12.6.** რომელ ტაძარში დატოვა ანდრიამ მის მიერ ჩამოტანილი ღვთისმშობლის ხელთუქმნელი ხატი და რატომ იწოდებოდა ეს ხატი ამდაგვარად?
(2) **12.7.** დღეს საქართველოს რომელ მხარეში მდებარეობს ტექსტში ნახსენები გარდაცვლილი მქადაგებლის საფლავი და რა ზედწოდებით არის ეს მქადაგებელი ცნობილი?
(2) **12.8.** დაასახელეთ საქართველოს ისტორიული მხარეები, რომლებშიც რუკის მიხედვით იმოგზაურა ანდრიამ, მაგრამ არ არის ნახსენები წყაროში.
(2) **12.9.** რომელი ხალხის რელიგიური ტრადიციის გავლენა ჩანს ადგილობრივ მოსახლეობაში (ან მის ნაწილში)? თქვენი პასუხი დაასაბუთეთ ტექსტის მიხედვით.
(3) **12.10.** ქართული სახელმწიფოს ფარგლებს გარეთ არსებული და წყაროში დასახელებული რომელი ისტორიული მხარეები მოიარა ანდრიამ?